



ადმონსვლეთის კარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 15 ივნისი, 2012 წელი

დრო: 16:00 - 18:00

შეხვედრის ადგილი: კავკასიური სახლის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. საერთაშორისო ფონდი "ლეა" - მარინე სოლომონიშვილი (თანაკოორდინატორი)
2. კავკასიური სახლი - ლალი დევიძე (თანაკოორდინატორი)
3. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის - ინეზა გაგნიძე
4. კოალიცია შინმოვლა საქართველოში - უჩა ვახანია
5. ახალგაზრდული ცენტრი საქართველო - თამარ ტარტარაშვილი
6. ახალგაზრდული ალტერნატივა - ნუკრი ყველაშვილი
7. საზოგადოებრივი დამცველი - ნათია აბრამია

ჯგუფის ორმა წევრმა წინასწარ გააფრთხილა თანაკოორდინატორები იმის თაობაზე, რომ გარკვეული მიზეზების გამო ვერ დაესწრებოდნენ სამუშაო შეხვედრას, კერძოდ:

1. პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო" - ნანული რამიშვილი
2. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი - თიკო ტყეშელაშვილი

## განსახილველი საკითხები:

1. საქართველოს ხელისუფლების "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მე-4 პლატფორმის ფარგლებში მონაწილე უწყებებსა და ეროვნული პლატფორმის მე-4 სამუშაო ჯგუფს შორის თანამშრომლობის განსაზღვრა.
  - შესაბამის სახაზო სამინისტროებთან კომუნიკაციის დამყარებისა და კონტაქტების გაფართოების პერსპექტივების განხილვა და საკითხების ჩამოყალიბება.
2. ეროვნული პლატფორმის მე-4 სამუშაო ჯგუფის ექსპერტთა ქვე-სამუშაო თემატური ჯგუფების ფორმირება. სავარაუდო თემატური ჯგუფების ჩამონათვალი:
  - ა) ვიზის ფასილიტაცია, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება;
  - ბ) კულტურა;
  - გ) განათლება;
  - დ) ახალგაზრდების საკითხები;
  - ე) კონფლიქტების მოგვარება და სამშვიდობო მოლაპარაკებები;
  - ვ) სამოქალაქო ინტეგრაცია: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, გენდერი, ხანდაზმულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
  - ზ) სხვა.
3. "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში დაფინანსებული კულტურული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან შეხვედრების ორგანიზების განხილვა.
4. კომუნიკაციის საშუალებები და რეგულარობა
5. სხვა საკითხები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და წევრებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგის მონახაზი - საკითხთა ჩამონათვალი უფრო დეტალური განმარტებით. "კოალიცია შინმოვლა საქართველოში" წარმომადგენლის ინიციატივით დღის წესრიგის მეორე პუნქტს "ვ" ქვეპუნქტის ჩამონათვალი დაემატა ხანდაზმულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. შესწორებების შეტანის შემდეგ, დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით, დღის წესრიგი დამტკიცდა.

წევრებმა პირველ საკითხად იმსჯელეს მეოთხე სამუშაო ჯგუფსა და შესაბამის სახაზო სამინისტროებთან კომუნიკაციის დამყარებისა და კონტაქტების გაფართოების პერსპექტივებზე. თანაკოორდინატორმა წევრებს მოკლედ შეახსენა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესთან გამართული შეხვედრის შესახებ. შეხვედრაზე მინისტრის აპარატმა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გადასცა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში თემატური პლატფორმების, ფლაგმანი ინიციატივების, პანელების და სხვა ღონისძიებებში მონაწილე შესაბამისი უწყებების წარმომადგენლების სია. როგორც თანაკოორდინატორმა აღნიშნა, მეოთხე სამუშაო ჯგუფისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლების "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მე-4

პლატფორმის ფარგლებში მონაწილე უწყებებთან (მაგ., ახალგაზრდული პოლიტიკისა და კულტურის სფეროში) თანამშრომლობის გააქტიურება. ამ ეტაპისთვის მეოთხე პლატფორმის ფარგლებში საქმიანობას სახელმწიფოს მხრიდან კოორდინაციას უწევს კულტურის სამინისტრო. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ მას არაოფიციალური შეხვედრა ჰქონდა კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთან, რომელმაც პლატფორმის მეოთხე სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა. შემდგომი ოფიციალური შეხვედრების დასაგეგმად აუცილებელია სამუშაო ჯგუფის შიგნით თემატური საკითხების მიხედვით ქვე-ჯგუფების ჩამოყალიბება.

კოორდინატორმა დამსწრეებს გააცნო სავარაუდო თემატური ქვე-ჯგუფების ჩამონათვალი:

- ა) ვიზის ფასილიტაცია, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება;
- ბ) კულტურა;
- გ) განათლება;
- დ) ახალგაზრდების საკითხები
- ე) კონფლიქტების მოგვარება და სამშვიდობო მოლაპარაკებები;
- ვ) სამოქალაქო ინტეგრაცია: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, გენდერი, ხანდაზმულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთ დასახელებული საკითხები მხოლოდ მეოთხე ჯგუფის პრიორიტეტში არ შედის (მაგ: გენდერისა და ვიზის ფასილიტაციის საკითხები პირველ სამუშაო ჯგუფსაც ეხება, ახალგაზრდების საკითხები კი მეტნაკლებად ყველა ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია), თანაკოორდინატორის აზრით აუცილებელია პლატფორმის ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება.

ჩამოთვლილ თემატურ საკითხებს შორის მიმდინარე წლისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა კულტურა. კულტურაზე თემატური ქვე-ჯგუფის შექმნის შემდეგ ჯგუფის საქმიანობა შესაძლებელია წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: კანონმდებლობა, სტრატეგია და კულტურული მრავალფეროვნება. კოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ 2011 წელს კულტურის სფეროში დაფინანსდა 12 პროექტი. დაფინანსებული ორგანიზაციების ნაწილი ევროვნული პლატფორმის წევრია. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ საინტერესო იქნება პროექტების განმახორციელებლების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მოწვევა.

რაც შეეხება განათლებას, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების თემატურ ჯგუფს დაემატა მეცნიერებაც. ამ მხრივ აქტუალური კომპონენტია FP7, რომელთან დაკავშირებითაც მეოთხე პლატფორმის ფარგლებში 21 ივნისს ბრიუსელში გაიმართება სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენელების შეხვედრა. თანაკოორდინატორმა წევრებს აცნობა, რომ მან საქართველოს წარმომადგენელს სთხოვა მეოთხე სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის შეხვედრის შესახებ გარკვეული ინფორმაციის გაზიარება.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პოლიტიკას, ჯგუფის თანაკოორდინატორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა

სამინისტრომ შეიმუშავა ახალგაზრდული სტრატეგის დოკუმენტის მეორე ვერსია, რომელიც განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე. ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდული ალტერნატივის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდულ ფორუმში მათ ჰქონდათ საშუალება დაეფიქსირებინათ გარკვეული მოსაზრებები და შენიშვნები ამ დოკუმენტთან მიმართებაში. თანაკოორდინატორმა წამოაყენა ინიციატივა ჯგუფის სახელით საერთო რეკომენდაციის შემუშავებისა და სამინისტროში წარდგენის შესახებ. გადაწყდა, რომ ახალგაზრდული ალტერნატივის წარმომადგენელი ჯგუფის წევრებს გაუზავნოს ახალგაზრდულ სტრატეგასთან დაკავშირებით მისი ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ შენიშვნებსა და წინადადებებს, რომლის საფუძველზეც შემდგომ შესაძლებელი იქნება საერთო რეკომენდაციის ჩამოყალიბება.

თემატური ქვე-ჯგუფის შექმნაზე მსჯელობისას ჯგუფის წევრებმა განიხილეს მეოთხე სამუშაო ჯგუფის წევრების აქტიურობისა და შეხვედრებზე დასწრების პრობლემები. ამ ეტაპისთვის ჯგუფის წევრია 37 ორგანიზაცია, თუმცა სამუშაო შეხვედრებს მათი უმეტესობა არასაკატიო მიზეზით არ ესწრება. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ჯგუფის მუშაობას და უარყოფით გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე. მაგალითად, იმის გამო, რომ 15 ივნისის შეხვედრას ესწრებოდა მხოლოდ 7 ორგანიზაციის წარმომადგენელი, ვერ მოხერხდა თემატური ქვე-ჯგუფების შექმნა და შემდგომი სამუშაო სტრატეგიის განსაზღვრა. ამასთანავე, წევრების პასიურობის გამო ფერხდება აქტიური მუშაობის დაწყება ჯგუფის სამომავლო თემატურ ქვე-პროექტებზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბოლო საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, თუ ორგანიზაციის წარმომადგენელი არასაკატიო მიზეზით სამჯერ არ დაესწრება სამუშაო ჯგუფის შეხვედრას, დადგება მისი პლატფორმიდან გარიცხვის საკითხი.

”კოალიცია შინმოვლა საქართველოში” წარმომადგენლის თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის შეხვედრებს არ ესწრებიან წევრი ორგანიზაციები, ქვე-ჯგუფების ჩამოყალიბების ნაცვლად, უმჯობესი იქნება თითოეულ ზემოთ დასახელებულ თემაზე გამოიყოს მიმართულების კოორდინატორი და დასახელდეს ერთი ორგანიზაცია, რომლის გარშემოც შემდგომ გაერთიანდებიან სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები. კოალიციის წარმომადგენლის აზრით, ამით შესაძლებელი იქნება ჯგუფების მუშაობის ჩავარდნის თავიდან აცილება. თუმცა დამსწრეები არ დაეთანხმდნენ ამ მოსაზრებას და გადაწყდა, რომ უპრიანი იქნება შეიქმნას თემატური ქვე-ჯგუფი და შემდეგ დასახელდეს შესაბამისი მიმართულების კოორდინატორი.

დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ ქვე-ჯგუფების ჩამოყალიბების შემდეგ, თემატური მიმართულებების მიხედვით (მაგ., ახალგაზრდები, კონფლიქტები, კულტურა, განათლება და ა.შ.) აუცილებელია შესაბამის სახაზო სამინისტროებთან შეხვედრების ორგანიზება. დაგროვილი კითხვებიდან გამომდინარე დასაწყისისთვის პრიორიტეტულად დაისახა შეხვედრა განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან. შესაბამისად, მეოთხე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა განათლების თემატური ქვე-ჯგუფი. ჯგუფში გაწევრიანდნენ შემდეგი ორგანიზაციები: 1. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის; 2. ახალგაზრდული ალტერნატივა; 3. ახალგაზრდული ცენტრი საქართველო; 4. საზოგადოებრივი დამცველი; 5. კოალიცია შინმოვლა საქართველოში. ჯგუფი ღიაა წევრებისთვის, მსურველ

ორგანიზაციებს შეუძლიათ გაწევრიანდნენ და მონაწილეობა მიიღონ განათლების სამინისტროსთან დაგეგმილი შეხვედრის დღის წესრიგის განსაზღვრაში. შეხვედრაზე დაისახა ასევე განათლების ქვე-ჯგუფის პროექტებზე მუშაობის სამომავლო პერსპექტივები.

გარდა ამისა, დამსწრებმა გამოთქვეს ახალგაზრდობისა და კონფლიქტების ქვე-ჯგუფებში გაწევრინების სურვილიც. გადაწყდა, რომ შემდეგ შეხვედრაზე მოხდება ზემოთ აღნიშნული სხვა ჯგუფების ფორმირების დასრულება.

შეხვედრის ბოლოს ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის წარმომადგენელმა დამსწრეებს მოკლედ გააცნო თავისი მოხსენება განათლების ევროპული პროგრამების სამოქმედო მიმართულებების, მათი მართვის სრულყოფისა და ევროკომისიის შესაბამისი დოკუმენტების შესახებ. წევრების თხოვნით, მოხსენების დასრულების შემდეგ ნაშრომის სრულ ვერსია შეხვედრაზევე გადაეცათ დამსწრეებს.

წევრები შეთანხმდნენ, რომ სამუშაო ჯგუფის შემდეგი შეხვედრა გაიმართება 2 კვირაში. შეხვედრის კონკრეტული თარიღი ელექტრონულად წინასწარ ეცნობებათ ჯგუფის წევრებს.

დაახლოებით ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

სამდივნო: სალომე ბულია და ეკა მრულიშვილი